



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	ოაზურგეთის „არწივები“ - ქუთაისის „ბაგრატი“		
გუნდი	ქუთაისის „ბაგრატი“	შეჯიბრი	I ლიგა
მატჩის თარიღი	12/03/2022	მატჩის ადგილი	ფოთი, პარკი არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	მწვრთნელი	დაზარალების თარიღი	
სახელი, გვარი	გიორგი კიკვიძე		
მომჩივანი	მატჩის მსაჯი ლევან ბიბიჩაძე	საჩივარი	✓ მიღებულია უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია არამართებული ქცევა	წითელი ბარათი	საითინგი
		სხვა	✓ თუ „სხვა“ აღწერეთ :

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	17/03/2022	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი, თბილისი, ქ.ამირეჯიბის#6
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ლევან ჩიკვაძე, ვახტანგ სამხარაძე, ედუარდ ნაჭყებია		
დამრღვევის დასწრება	დისტანციური (ტელეფონით) კი არა	სხვა დამსწრეები :	კი არა
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნუთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	1. მატჩის მსაჯის ლევან ბიბიჩაძის საითინგი 14/03/2022 2. მატჩის ოქმი.		



დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის ლევან ბიბიჩაძის საითინგი 14/03/2022
2. მატჩის ოქმი
3. მატჩის მეთვალყურის ბორის ზიბზიბაძეს სატელეფონო საუბრის აუდიო ჩანაწერი
4. ქუთაისის „ბაგრატი“-ს მწვრთნელის გიორგი კიკვიძის სატელეფონო საუბარის აუდიო ჩანაწერი.

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება

სატელეფონო საუბრისას, ქუთაისის „ბაგრატი“-ს მწვრთნელი, გიორგი კიკვიძე, დაეთანხმა მატჩის მსაჯის ლ. ბიბიჩაძის საითინგში აღწერილ დისციპლინარული დარღვევის ფაქტს, აღიარა მისი მხრიდან სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის ქცევის კოდექსის დარღვევა, კერძოდ, მან მატჩის ოქმში ჩაწერა მსაჯების შეურაცხყოფელი სიტყვა. გიორგი კიკვიძემ თავისი საქციელი ახსნა თამაშის დამაბული მიმდინარეობით და მისი აზრით არაკომპეტენტური მსაჯობით. თუმცა აღიარა, რომ ეს არ ამართლებს მის მიერ ჩადენილ საქციელს, მან წუხილი გამოთქვა მომხდარის შესახებ.

ფაქტობრივი მოცემულობა

1. 2022 წლის 12 მარტს, ქ. ფოთში, „პარკი არენა“-ზე, გამართა I ლიგის XV ტურის მატჩი ოზურგეთის „არწივები“-სა და ქუთაისის „ბაგრატი“-ს შორის. მატჩი მიდინარეობდა დამაბულად, გარდამავალი უპირატესობით და დასრულდა ანგარიშით 15:13 ოზურგეთის „არწივები“-ს სასარგებლოდ.
2. 2021 წლის 14 მარტს, აღნიშნული მატჩის მსაჯმა, ლევან ბიბიჩაძემ, წერილობით (საითინგი 14/03/2022) მიმართა სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს. საითინგში აღნიშნულია დისციპლინარული დარღვევის ფაქტი ქუთაისის „ბაგრატი“-ს მწვრთნელის, გიორგი კიკვიძის მხრიდან. კერძოდ, თამაშის დასრულების შემდეგ გ.კიკვიძემ მატჩის ოქმში ჩაწერა მსაჯების შეურაცხყოფელი სიტყვა, რაც შემდეგ თვითონვე (გ.კიკვიძემ) გადაშალა.
3. მატჩის მეთვალყურის ბორის ზიბზიბაძის განმარტებით, თამაშის დამთავრების შემდეგ, ქუთაისის „ბაგრატი“-ს მწვრთნელმა გ. კიკვიძემ, თამაშის ოქმში ჩაწერა მსაჯების შეურაცხყოფელი სიტყვა, რის გამოც მან შენიშვნა მისცა გ. კიკვიძეს და გააკიცხა მისი ქმედება.



სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული დისციპლინარული დარღვევის განხილვისას:

1. მატჩის ოფიციალური პირების შეურაცხმყოფელი ჩანაწერი მატჩის ოქმში შეაფასა როგორც **სერიოზული დისციპლინარული დარღვევა**.


სადისციპლინო კომისიამ გაითვალისწინა:

1. დამრღვევის, გიორგი კიკვიძის, სუფთა სადისციპლინო ისტორია.
2. სადისციპლინო საქმის განხილვის პერიოდში სადისციპლინო კომისიის წევრებთან სატელეფონო საუბრისას მან აღიარა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის ქცევის კოდექსის დარღვევა, გამოთქვა წუხილი და ბოდიში მოიხადა მომხდარი ფაქტის გამო.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის მე-5 მუხლის (ქცევის კოდექსი და არამართებული ქცევა) პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გადაწყვეტილება

1. ქუთაისის „ბაგრატი“-ს მწვრთნელი გიორგი კიკვიძე დისკვალიფიცირებული იქნას 2022 წლის 1 სექტემბრამდე.
2. ქუთაისის „ბაგრატი“-ს მწვრთნელს, გიორგი კიკვიძეს, დისკვალიფიკაციის პერიოდში, აკრძალოს ყოველგვარი აქტივობა სათამაშო არეალში სრკ-ს მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში ნებისმიერ დონეზე.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	18/03/2022
--------------------------	--	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.